პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 აპრილი ხუთშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 101 (14705)

სრული ერთსულოვნებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება რესპუბლიკაში.

გაიმართა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. საწარმოს კოლექტივმა განიხილა ქვეყნის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი.

კრებაზე შესავალი სიტყვით გახსნა პროფკავშირის საქართველო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ლობჟანიძემ.

პირველი გამოვიდა ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილე ა. ჩოხელი. მან შეიტანა წინადადება ქარხნის კოლექტივისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის პირველი მაისის № 676 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ოთარ ილიას-ძე ლოლაშვილი.** თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, თქვა შემდეგ ორატორმა, როგორც მუშაობას ხელმძღვანელობს ი. ი. ლოლაშვილი, რესპუბლიკის კომუნისტური ორგანიზაციის მოწინავე რაზმია. და ქალაქის მრეწველობამ ვადამდე რომ შეასრულა ოთხი თვის გეგმა, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით საქართველოს დიდებულ ქალაქის კომუნისტებს.

ი. ი. ლოლაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ქარხნის დირექტორმა, ა. ბუაძემ, საპარტიო სამჭროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. ვარდოსანიძემ, სასექციო-საკოჯე საბჭოს მამხოლოგებელმა ა. ლაგროვამ.

კრების მონაწილეებმა სრულიად ერთსულოვნებით მიიღეს დადგენილება — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 676 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ლოლაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, მოსამსახურეები ჯუშინ შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას.

კრება გახსნა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა, ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ქაჩიბაიამ.

სიტყვას იღებს კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ ე ნ ტ ი პროფესორი ვ. ჭავჭანიძე. —

მან წინადადება შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — კალინინის № 677 საარჩევნო ოლქში დასახელებული იქნას მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი.**

ამ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ტექნიკურ-მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ხვედელიძემ, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, უფროსმა ინჟინერმა ბ. ტაბიძემ.

მათ ილაპარაკეს ნ. ი. მუსხელიშვილის მეცნიერული მოღვაწეობის დიდ მნიშვნელობაზე, იმაზე, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობს იგი ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადებას.

კრებამ ერთსულოვნად დადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — კალინინის № 677 საარჩევნო ოლქში დასახელოს იქნას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ნ. მუსხელიშვილი.

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის კანდიდატურა დასახელეს აგრეთვე ქარხანა „ელექტრომოდულების“ კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე.

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე საწარმოს დირექტორმა ი. ხვიდელიანმა მოუწოდა ამხანაგებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — 26 კომისრის სახელობის № 163 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას წარმოების მოწინავე მუშაკი ამაევ ქარხნის ზეინკალ-მემოქლონე **ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე გოლოვინი.**

საწარმოს კოლექტივმა ერთხმად გადაწყვიტა დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დასახელებულ იქნას ქარხნის ზეინკალ-მემოქლონე ვ. ა. გოლოვინი.

დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩაიარა თეთრი წყაროს მეზობლიანობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა წინასაარჩევნო კრებამ, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გეგეჭკორის № 172 საარჩევნო ოლქში მისი კანდიდატად დასახელება ახალგაზრდა მეჩაის შრომითი წარმატებების, იმ დიდი ავტორიტეტის აღიარება, რომელიც მოპოვებული აქვს საბჭოთა მეურნეობის კოლექტივში. ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს საბჭოთა მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა წინასაარჩევნო კრებაზე.

დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა 29 აპრილს სოხუმის თევზის კომბინატის მუშამოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინასაარჩევნო კრებამ. კრება შესავალი სიტყვით გახსნა საწარმოს დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ელექჩიანმა. შემდეგ გამოვიდა კომბინატის პარტიბიუროს მდივანი ვ. სალია. მან წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის № 185 საქალაქო საარჩევნო ოლქში დასახელონ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **პავლე გიორგის-ძე გილაშვილი.**

ეს წინადადება დიდი აღფრთოვანებით მიიღეს.

ამხ. პ. გ. გილაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს მთავარმა მექანიკოსმა ვ. მოლიტვინმა, საკონსერვო საამქროს მუშამ ე. ყვანიამ, საარჩევნო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. კრიკანოვსკიმ.

კრების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის № 185 საარჩევნო ოლქში დასახელონ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი.

სოხუმის გაზის აპარატურის ექსპერიმენტული ქარხანა ავტონომიური რესპუბლიკის ახალგაზრდა საწარმოა, მაგრამ მისმა პროდუქციამ უკვე ფართო პოპულარობა მოიპოვა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ამაზე ილაპარაკა ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინასაარჩევნო კრების გახსნისას პარტორგანიზაციის მდივანმა ზ. მამარდაშვილმა. პირველმა აიღო სიტყვა მეორე საამქროს მტვიფრავმა რ. ბგაზნამ. მან წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის ლენინის № 481 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მეჟავანაძე.** კრების მონაწილეები ამ წინადადებას ძმურად შეხვდნენ. ამხ. ვ. მეჟავანაძის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს ქარხნის დირექტორმა ა. ოვინჯილიამ, ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორმა ი. რადოვიჩმა, კონსტრუქტორმა ლ. ბაქანიამ.

ტრიბუნაზეა ფართო მოხმარების საამქროს მუშა ვ. კვარაცხელია.

— სულითა და გულით მხარს უჭერ ამხანაგ ვ. პ. მეჟავანაძის კანდიდატურას და წინადადება შემომაქვს დეპუტატობის კანდიდატად ჩვენს ოლქში დასახელოთ აგრეთვე მოწინავე მტვიფრავი **ანა ჯირის ასული ავიძბა.**

კრება ერთსულოვნად ადგენს: დასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის ლენინის № 481 საარჩევნო ოლქში ვ. პ. მეჟავანაძე და ა. ჯ. ავიძბა.

ვ. პ. მეჟავანაძის და ა. ჯ. ავიძბას კანდიდატურები დასახელეს აგრეთვე სოხუმის ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ფაბრიკის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე.

29 აპრილს სოხუმის რაიონის სოფელ აჩადრის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელები შეიკრიბნენ კლუბში, სადაც გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებისადმი მიძღვნილი წინასაარჩევნო კრება.

მეცხოველეობის ფერმის გამგემ შ. ქობალიამ წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის № 186 სასოფლო საარჩევნო ოლქში დასახელონ ჩ. ი. ფრუიძე.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა 29 აპრილს ულიანოვის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში.

კრება გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. დავითაიამ. სიტყვა წარმოთქვა მთავარმა აგრონომმა დ. ვეკუამ, რომელმაც წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გულიანოვის № 487 საარჩევნო ოლქში დასახელონ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის მოადგილე, ფლოტის ადმირალი **ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ამილკო.**

კრება ერთხმად ადგენს: დასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გულიანოვის № 487 საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის მოადგილე ფლოტის ადმირალი ნ. ნ. ამილკო.

გუშინ სამუშაო დღის შემდეგ ბათუმის ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზის კლუბში შეიკრიბნენ საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები. წინასაარჩევნო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ვეფხვაძემ. მან სიტყვა მისცა ნავთობბაზის უფროსს ა. ბერიძეს, რომელმაც წინადადება წამოაყენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის № 170 საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შალვა დავითის-ძე კიკნაძე.**

ორატორმა ამხ. შ. დ. კიკნაძე დაახასიათა როგორც პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი და მოუწოდა წინასაარჩევნო კრების მონაწილეებს მხარი დაუჭირონ დასახელებულ კანდიდატურას.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება დასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის № 170 საარჩევნო ოლქში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე და სოხოევნ ქენჩი იყაროს ამ ოლქში.

შუადღისას, როცა დღის დავალების დიდი ნაწილი შესრულებული იყო, სოფელ შუახევის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე.

სიტყვა ეძლევა წარჩინებულ მეთამბაქოეს გ. დავითაძეს. მისი წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შუახევის № 502 საარჩევნო ოლქში დასახელონ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლევან მიხეილის-ძე დავითაძე.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი დამსწრეებმა.

კრებამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შუახევის № 502 საარჩევნო ოლქში დასახელონ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დავითაძე.

გუშინ გაიმართა წინასაარჩევნო კრება შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის კოლმეურნეობაში. აქ აგრეთვე ერთხმად დასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის № 170 საარჩევნო ოლქში საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე და სოხოევნ ქენჩი იყაროს ამ ოლქში.

შუადღისას, როცა დღის დავალების დიდი ნაწილი შესრულებული იყო, სოფელ შუახევის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები შეიკრიბნენ წინასაარჩევნო კრებაზე.

სიტყვა ეძლევა წარჩინებულ მეთამბაქოეს გ. დავითაძეს. მისი წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შუახევის № 502 საარჩევნო ოლქში დასახელონ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ლევან მიხეილის-ძე დავითაძე.**

ამ წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი დამსწრეებმა.

კრებამ დაადგინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შუახევის № 502 საარჩევნო ოლქში დასახელონ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დავითაძე.

ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ-ᲤᲐᲥᲢᲘ

საპირველმაისო ნოხატები

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — პირველი მაისის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა ახალი შრომითი გამარჯვებები მოიპოვეს. მოწინავე ფაბრიკა-ქარხნებმა ოთხი თვის გეგმა ვადამდე შეასრულეს და გეგმის გადამეტებით მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

□ □

● **საქართველოს** სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ტვირთების გაგზავნის ოთხი თვის გეგმა 21 აპრილისათვის შეასრულა. გადაზიდა 24.178 ათასი ტონა ტვირთი, გეგმა კი 23.970 ათას ტონას ითვალისწინებდა გადაყვანილია 136.900 ათასი კაცი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 136.830 ათასისა.

● **ᲐᲛᲘᲠᲐᲙᲐᲕᲐᲡᲘᲘᲡ** მაგისტრალის რკინიგზელებმა ვადაზე ოთხი დღით ადრე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და ადგილზე შიტანის ოთხი თვის გეგმა.

რკინიგზელებმა იკისრეს ახალი გადიდებული ვალდებულება — გეგმის გადამეტებით დატვირთონ საიუბილეო წლის ასეული ათასობით ტონა ტვირთი.

● **ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა პირველ კვარტალში ოთხი თვის გეგმა შეასრულა და გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 340 ათასი ქილა კონსერვი. მეკონსერვეებმა გეგმის გადამეტებით 34 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და ფუჭიდირებულების შემცირებით 79 ათასი მანეთი მოგება მიიღეს.

საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა ოთხი თვის გეგმა 14 აპრილისათვის შეასრულა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 11.500 მანეთი ზეგეგმიური მოგება მიიღო.

● **ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ.** ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივმა ოთხი თვის დავალება 5 აპრილისათვის შეასრულა. ნაცვლად 250 ათასი მანეთისა გამოუშვა 281 ათასი მანეთის პროდუქცია, რეალიზაციის გეგმა 120 პროცენტით გაანაღდა.

● **ᲑᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ.** სამტრესტის სპირტის ქარხნის კოლექტივმა 22 აპრილისათვის ხუთი თვის გეგმა 105 პროცენტით გაანაღდა. გამოშვებულია 887 ათასი მანეთის პროდუქცია, გეგმა კი 844 ათასი მანეთის პროდუქციის გამოშვებას ითვალისწინებდა. საწარმოს კოლექტივი ახლა ივნისის ანგარიშში მუშაობს.

● **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ.** ფიქალ-მარმარილოს კომბინატის მშრომელებმა ოთხი თვის გეგმა 15 აპრილისათვის გაანაღდეს. თვის ბოლომდე დამატებით გამოუშვებენ რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქციას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ აღმოსავლეთ რაიონებში საგაზაფხულო თესვა დასასრულს უახლოვდება. შრგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში კი უკვე დაიწყო მზესუმზირას ნათესების დამუშავება. თესვა აგროვადებში დამთავრდა სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში და გაჩაღდა კულტივაცია. მზესუმზირას ნათესების დამუშავება ძველი ანაგის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲜᲐ: მზესუმზირას კულტივაცია სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობის მინდვრებში.

ფოტო ნ. ბერეშვილისა.

მომავალი ვიზიტი

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მიწვევით მომდინარე წლის მაისის დამდეგს ჩეხოსლოვაკიას ეწვევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პარტიისა და მთავრობის ოფიციალური დელეგაცია.

ვიზიტის დროს განზრახულია ხელი მოაწერონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ხელშეკრულებას.

საბჭოთა დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ფაშისტ დამპყრობთაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის ზეიმში.

საკლესიო ცნობა

მიფრინავს „მეტეორი“

1970 წლის 28 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორი“. თანამგზავრის გაშვების ძირითადი ამოცანაა უზრუველყოს ამინდის ოპერატიული სამსახურის გამოსაყენებლად საჭირო მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიღება.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 736 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 637 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 81,2 გრადუსი;

მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 98,1 წუთი.

თანამგზავრზე დადგმულია მეტეოროლოგიური აპარატურა, რომელიც უზრუველყოფს დედამიწის ღრუბლიანობის, მისი განთებული და ჩრდილიანი მხარეების თოვლის საფარის, გამოსახულებათა მიღებას, აგრეთვე მონაცემების მიღებას დედამიწისა და ატმოსფეროს მიერ არეკლილი და გამოსხივებული თბოენერგიის შესახებ.

გარდა მეტეოროლოგიური აპარატურისა, თანამგზავრ „მეტეორზე“ არის: სისტემა, რომელიც უზრუველყოფს თანამგზავრის მუდმივ ორიენტაციას დედამიწისადმი, ელექტრომომარაგების სისტემა მზისადმი მზის ბატარიების ავტონომიური ორიენტაციით, რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისთვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რათა დედამიწაზე გადმოსცეს მონაცემები ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამთვლელთი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას, მეტეოროლოგიურ ინფორმაციას იღებს სსრ კავშირის ჰიდრომეტცენტრი დამუშავებისა და გამოყენებისათვის.

სნეულებენ საბჭოთა ქალაქები

29 **ᲐᲠᲘᲚᲘ** თბილისში დამთავრდა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა კადრების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების მსმენელთა მორიგი ნაკადის მეცადინეობა.

ერთთვიანი მეცადინეობა გაიარეს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების თავმჯდომარეებმა.

მეცადინეობის პერიოდში კურსების მსმენელებს წაუკითხეს ლექციები-მოსხენებანი სკკპ ისტორიისა და პოლიტიკის ძირითად პრობლემებზე, მეცნიერული კომუნიზმის, წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საფუძვლებზე. სახწავლო გეგმაში დიდი ადგილი დაეთმო პარტიული და საბჭოთა მშენებლობის საკითხების შესწავლას. მოეწყო პრაქტიკული მეცადინეობებიც.

კურსების მეცადინეობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ რ. ვ. მეტრეველმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების კიროვის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარე საწარმო-დაწესებულებების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ასობით წარმომადგენელი შეიკრიბა ხელოვნების მუშაკთა სახლში საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე.

წინასაარჩევნო თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ბ. ᲬᲘᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში საოლქო წინასაარჩევნო თათბირის საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს.

ტრიბუნაზეა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი ბ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ. მან გამოაცხადა, რომ რესპუბლიკის მწერლებმა დიდი ერთსულოვნებითა და აღფრთოვანებით დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ № 161 საარჩევნო ოლქში და სთხოვეს კენჭი იყარონ ამ ოლქში.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი და აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირნი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ

ᲚᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ ᲒᲣᲨᲘᲜᲘᲡ სახელობის კულტურის სახლში დიდი პოლიტიკური აქტივობისა და მაღალი პატრიოტიზმის ვითარებაში გაიმართა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო ოლქის შრომელთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ᲘᲐ. ᲓᲔ. ᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ტაშის გრიალში თათბირის მონაწილეებმა აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

სიტყვა ეძლევა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს გ. ს. ბიბილეიშვილს.

ჩვენ გვსმენდა დიდი პატივი, თქვა მან, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად დაგვასახელებინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲘᲡ-ᲫᲔ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მთელი ცხოვრების გზა, — განაგრძო მან, — ლენინის საქმისადმი, კომუნისტური პარტიისადმი, ხალხის ინტერესებისადმი სამსახურის მკაფიო მაგალითია. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა დეპუტატობის კანდიდატად ამავე ოლქში დასახელა საწარმოს საუკეთესო მუშა, კომუნისტური შრომის დამკვრელი ხარატი ᲨᲘᲠᲐᲑ ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲡ-ᲫᲔ ᲡᲐᲠᲐᲚᲘᲫᲔ. მისთვის დამახასიათებელია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რითაც ეკისრა მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ორატორმა მოუწოდა თათბირის მონაწილეებს მხარი დაუჭირონ საწარმოს კოლექტივის მიერ დასახელებულ კანდიდატურებს.

სიტყვას ამბობს ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივის წარმომადგენელი მეყალიბე ს. ნ. ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘ, მან თქვა, რომ მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად

დასახელებისადმი მიძღვნილ წინასაარჩევნო კრებაზე ერთხმად, დიდი სიხარულით მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის ლენინის № 161 საარჩევნო ოლქში დასახელებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ და კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი Შ. Ბ. ᲡᲐᲠᲐᲚᲘᲫᲔ. მან თათბირის მონაწილეებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრების გადაწყვეტილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს ლ. ი. ბრეჟნევისა და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატის შ. ბ. სარალიძის კანდიდატურათა დასახელებას თავიანთი კოლექტივების სახელით ერთსულოვნად დაუჭერს მხარი თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის საუბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. Ა. ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲕᲐ-ᲫᲔ, ქარხანა „ელექტროგამშვებების“ ამწყობმა-ზეინკალმა ᲘᲐ. Შ. ᲡᲐᲚᲔᲨᲐᲕᲘᲚᲘᲡ, თბილისის სალოკომოტივო დეპოს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა Რ. Ნ. ᲠᲣᲡᲘᲐᲜᲘ და სხვებმა.

ყველამ აღნიშნა, რომ ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევი ლენინური ტიპის ხელმძღვანელის განსახიერებაა, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს, ენერგიას, ორგანიზატორულ ნიჭს ასმარს პარტიის საქმეს, სამშობლოს სამსახურს. ყველა ორატორმა დიდი პატივისცემით მოიხსენია კომუნისტური შრომის დამკვრელი, ნიჭიერი რაციონალიზატორი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი Შ. Ბ. ᲡᲐᲠᲐᲚᲘᲫᲔ.

თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლებმა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სოხუმის № 186 საარჩევნო ოლქში დასახელონ Ჩ. Ი. ᲤᲠᲣᲘᲫᲔ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიებმა საკანონმდებლო განზრახულობათა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიებთან და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებთან ერთად მოამზადეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

მიღებულია გადაწყვეტილება საფუძვლების პროექტი გამოქვეყნდეს გაზეთებში „იზვესტიაში", „სელსკაია უიზნში", „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიასა" და რესპუბლიკურ გაზეთებში საზოგადოებრიობის მიერ განხილვისათვის.

შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებიც შემოვა კანონპროექტის განხილვის შედეგად, განიხილავენ კომისიებში, რის შემდეგაც საფუძვლების პროექტი შეტანილ იქნება სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ყველა შენიშვნა და წინადადება საფუძვლების პროექტის გამო უნდა გაიგზავნოს: მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნო.

პროექტი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად წყლები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ბუნებრივი სიმდიდრე, ხალხის კუთვნილება გახდა.

წყლის სახელმწიფო საკუთრება, რომელიც ნაციონალიზაციის შედეგად წარმოიშვა, შეადგენს საწყლო ურთიერთობის საფუძველს სსრ კავშირში, ქმნის ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ მეცნიერულად დასაბუთებულად, გეგმიანად და კომპლექსურად გამოვიყენოთ წყლები სახალხო მეურნეობისათვის რაც შეიძლება მეტი ეფექტით, საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ ხალხის შრომისა, ყოფაცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობები.

მოსახლეობის ზრდა, საზოგადოებრივი წარმოების და ქალაქთმშენებლობის განვითარება ადიდებს წყალზე მრავალმხრივ მოთხოვნას და ამაღლებს წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მნიშვნელობას.

ეს საფუძვლები განსაზღვრავენ საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ამოცანებს და ადგენენ ზოგად დებულებებს წყლებით სარგებლობის, მათი დაცვის, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, წყლების გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და დაგეგმვის მოწყობის წესების შესახებ.

ᲙᲐᲠᲘ I. ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 1. საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ამოცანები ის არის, რომ მოაწესრიგოს საწყლო ურთიერთობა მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლების რაციონალური გამოყენების, გაჯანსაღებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან წყლების დაცვის, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, წყლის ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების უფლებათა დაცვა, კანონიერების განმტკიცება საწყლო ურთიერთობის დარგში.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობა

საწყლო ურთიერთობას სსრ კავშირში არეგულირებენ ეს საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები, საწყლო კოდექსები და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. სახელმწიფო საკუთრება წყალზე სსრ კავშირში

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად წყლები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სახელმწიფო საკუთრებაა, ესე იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა.

წყლები სსრ კავშირში სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრებაა და გადაეცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია მოქმედება, რომელიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს სახელმწიფო საკუთრების უფლებას წყალზე.

მუხლი 4. ერთიანი სახელმწიფო საწყლო ფონდი

ყველა წყალი (წყლის ობიექტები) სსრ კავშირში შედის ერთიან სახელმწიფო წყლის ფონდში.

ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდი შეიცავს:

1) მდინარეებს, ტბებს, წყალსაცავებს, არხებს, გუბურებს, სხვა ზედაპირულ წყალსატევებსა და წყაროებს;

2) სსრ კავშირის შიდა ზღვებსა და ტერიტორიულ ზღვას;

3) მიწისქვეშა წყლებს;

4) მყინვარებს.

მუხლი 5. სსრ კავშირის კომპეტენცია საწყლო ურთიერთობის რეგულირების დარგში

საწყლო ურთიერთობის რეგულირების დარგში სსრ კავშირის გამგებლობაშია:

1) ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირის უფლებამოსილების განსორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად;

2) ძირითადი დებულებების დადგენა წყლების გამოყენების, გაჯანსაღებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან დაცვის, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების დარგში, აგრეთვე საერთო-საკავშირო ღონისძიებათა დაგეგმვა ამ დარგში;

3) წყალსარგებლობის, წყლების ხარისხის საერთო-საკავშირო ნორმატივებისა და მათი შეფასების მეთოდების დადგენა;

4) სსრ კავშირისათვის ერთიანი სახელმწიფო წყლის კადასტრის სისტემისა და მისი წარმოების წესის დადგენა;

5) წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, აგრეთვე იმ სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსების დამტკიცება, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ;

6) წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაცია;

7) რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტებით სარგებლობის რეგულირება.

მუხლი 6. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია საწყლო ურთიერთობის რეგულირების დარგში

საწყლო ურთიერთობის რეგულირების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობაშია ერთიანი სახელმწიფო წყლის ფონდის განკარგვა ამ ფარგლებში, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირის უფლებამოსილების განსორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად;

2) ძირითადი დებულებების დადგენა წყლების გამოყენების, გაჯანსაღებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან დაცვის, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების დარგში, აგრეთვე საერთო-საკავშირო ღონისძიებათა დაგეგმვა ამ დარგში;

3) წყალსარგებლობის, წყლების ხარისხის საერთო-საკავშირო ნორმატივებისა და მათი შეფასების მეთოდების დადგენა;

4) სსრ კავშირისათვის ერთიანი სახელმწიფო წყლის კადასტრის სისტემისა და მისი წარმოების წესის დადგენა;

5) წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, აგრეთვე იმ სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსების დამტკიცება, რომლებსაც ერთიან-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ;

6) წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი კონტროლის ორგანიზაცია;

7) რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული წყლის ობიექტებით სარგებლობის რეგულირება.

მუხლი 7. სახელმწიფო მართვა წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში

წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვას ახორციელებენ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები „უშუალოდ ან სააუზო (ტერიტორიული) სამმართველოების მეშვეობით სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით. მწრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები წყლების გამოყენების და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვას ახორციელებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამავე ორგანოებს ეკისრებათ სახელმწიფო კონტროლი წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი და წყლის კანონმდებლობის შესრულებისადმი.

მუხლი 8. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლოატაციიდან გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე

საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციიდან გადაცემის დროს, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლების რაციონალური გამოყენება იმ პირობით, რომ პირველ რიგში აემაღალოფილდეს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებები. ამასთან უნდა გათვალისწინონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყალსატევებიდან აღებული და წყალსატევებში დაბრუნებული წყლის აღრიცხვას, წყლის დაცვას გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — მიწების მინიმალურ საჭირო დატბორვას, მიწების დაცვას დამლაშებისაგან, წყლის შედგომისა თუ დაშრობისაგან, აგრეთვე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და ლანდშაფტების დაცვას.

საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე მოქალაქეებისათვის წყალსამეურნეო ღონისძიებათა განხორციელების დროს (ჰიდროტექნიკური სამუშაოები და სხვ.) მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

თევზსამეურნეო წყალსატევებში საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციიდან გადაცემის დროს, გარდა ამისა, დროულად უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის, აგრეთვე წყლის სხვა სასარგებლო ცხოველებისა და მცენარეების დაცვასა და პირობებს მათი მარაგის აღდგენისათვის.

აღნიშნული საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის ადგილის განსაზღვრა უნდა შეუთანხმდეს წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს, აგრეთვე ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას, თევზის მარაგის დაცვას, და სხვა ორგანოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულ საწარმოთა და ნაგებობათა მშენებლობის პროექტები უნდა შეუთანხმდეს წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებსა და სხვა ორგანოებს იმ შემთხვევებში და წესით, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

აკრძალულია საექსპლოატაციოდ გადაცემა:

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოები, საამქროები, აგრეგატები, კომუნალური და სხვა ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან წყლების გაჭუჭყიანების ან მათი მავნე ზემოქმედების საწინააღმდეგო მოწყობილობით;

სარწყავი და გაწყლოვანების სისტემები, სანამ მზად არ იქნება პროექტით გათვალისწინებული მოწყობილობა და არ განხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ ნიადაგების დაჭაობებას, დამლაშებასა და ეროზიას;

დაშრობის სისტემები, სანამ მზად არ იქნება წყალმიმღებები და სხვა ნაგებობანი დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

წყალსაღები ნაგებობანი, სანამ არ იქნებათ თევზის დაცვის მოწყობილობა დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, სანამ არ ექნებათ მოვარდნილი წყლის გადაგდებისა და გაშვების მოწყობილობა დამტკიცებული პროექტების შესაბამისად.

აკრძალულია წყალსაცავების ავსება, სანამ არ განხორციელდება პროექტებით გათვალისწინებული კალაპოტის მოსამზადებელი ღონისძიებანი.

მუხლი 9. სამუშაოთა წარმოების წესი წყლის ობიექტებზე და სანაპირო ზოლებში (ზონებში)

ჰიდროტექნიკური სამუშაოები სასარგებლო წიაღისეულთა და წყლის მცენარეთა მოპოვება, ფსკერის გასაღრმავებელი და ასაფეთქებელი სამუშაოები, კაბელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციათა გაყვანა, ტყის ჩეხვა, სამშენებლო, სამთო მოსაპოვებელი, საბურღი, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოები წყლის ობიექტებზე ან წყალსატევების სანაპირო ზოლებში (ზონებში) შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

ᲙᲐᲠᲘ II. ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

მუხლი 10. წყლით მოსარგებლენი

სსრ კავშირში წყლით მოსარგებლენი შეიძლება იყონ საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებში წყლით მოსარგებლენი შეიძლება იყონ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირნი.

მუხლი 11. წყალსარგებლობის ობიექტები

სარგებლობისათვის გადაეცემა წყლის ობიექტები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ საფუძვლების მე-4 მუხლში.

იმ წყლის ობიექტების სამეურნეო გამოყენება, რომლებსაც განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა ან განსაკუთრებული მეცნიერული თუ კულტურული ღირებულება აქვთ, შეიძლება აიკრძალოს ნაწილობრივ ან მთლიანად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 12. წყალსარგებლობის სახეობანი

წყლის ობიექტები სარგებლობისათვის გადაეცემათ, თუ დაცულია კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და პირობები სასმელ, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო, გამჯანსაღებელ და მოსახლეობის სხვა საჭიროებათა დასაბმაყოფილებლად, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზსამეურნეო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ჩამდინარი წყლების გადაგდების ჩათვლით.

განსხვავდება საერთო წყალსარგებლობა, რომელიც ხორციელდება ნაგებობათა და ტექნიკურ მოწყობილობათა გამოუყენებლად, და სპეციალური წყალსარგებლობა, რომელიც ხორციელდება ნაგებობათა ან მოწყობილობათა გამოყენებით.

წყლის ობიექტები შეიძლება იყოს ერთობლივ ან განკერძოებულ სარგებლობაში.

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც წყლის ობიექტები მიეცემოდა აქვთ განკერძოებული სარგებლობისათვის, — პირველად წყლით მოსარგებლეებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უფლება აქვთ სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე მოქალაქეებს დართონ მეორადი წყალსარგებლობის უფლება წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 13. წყლის ობიექტების სარგებლობისათვის გადაცემის წესი და პირობები

წყლის ობიექტები სარგებლობისათვის ეძლევათ უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოების მიერ გაცემულ ნებართვათა საფუძველზე. ასეთი ნებართვები გაიცემა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და იმ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას, ცავენ თევზის მარაგს (თევზის მეურნეობათა წყალსატევების მიმართ), საჭირო შემთხვევებში კი სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებითაც. სპეციალური წყალსარგებლობის შესახებ ნებართვის შეთანხმებისა და გაცემის წესს აგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საერთო წყალსარგებლობა ხდება ყოველგვარი ნებართვის გაუცემლად მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წყლის ობიექტებზე, რომლებიც განკერძოებულ სარგებლობაშია გადაცემული, საერთო წყალსარგებლობა დასაშვებია პირობებით, რომლებსაც პირველადი წყლით მოსარგებლე აგენს წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში კი შეიძლება აიკრძალოს.

წყალსარგებლობა ხდება უფასოდ. სპეციალური წყალსარგებლობა შეიძლება ანაზღაურდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 14. წყალსარგებლობის ვადები

წყლის ობიექტები გადაეცემათ უვადო ან დროებითი სარგებლობისათვის.

წყალსარგებლობა უვადოდ (მუდმივად) მიიჩნევა, თუ წინასწარ დადგენილი არ არის ვადა.

დროებითი სარგებლობა შეიძლება იყოს მოკლევადიანი — სამ წლამდე და გრძელვადიანი — სამიდან ოცდაათ წლამდე. საჭიროების შემთხვევაში წყალსარგებლობის ვადები შეიძლება გაგრძელდეს პერიოდისათვის, რომელიც შესაბამისად არ აღემატება მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დროებითი სარგებლობის ვადებს.

საერთო წყალსარგებლობა ვადით არ იზღუდება.

მუხლი 15. წყლით მოსარგებლეთა უფლებანი და მოვალეობანი

წყლით მოსარგებლეებს უფლება აქვთ წყლის ობიექტებით ისარგებლონ მხოლოდ იმ მიზნებით, რისთვისაც ეს ობიექტები მიეცათ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყლით მოსარგებლეთა უფლებანი შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესებისათვის, აგრეთვე სხვა წყლით მოსარგებლეთა ინტერესებისათვის. მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლით სარგებლობის უფლებანი არ იზღუდება.

წყლით მოსარგებლენი მოვალენი არიან:

რაციონალურად გამოიყენონ წყლის ობიექტები, იზრუნონ წყლის მოსაჭირნედ ხარჯვისათვის, წყლის აღდგენისა და ხარისხის გაუჯობესებისათვის;

განსორციელონ ღონისძიებანი, რათა სავსებით შეწყდეს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემცველი ჩამდინარი წყლების გადაგდება წყლის ობიექტებში;

წყლით სარგებლობის პროცესში არ დაარღვიონ სხვა წყლით მოსარგებლეთათვის მიცემული უფლებანი, აგრეთვე ზიანი არ მიაყენონ სამეურნეო ობიექტებსა და ბუნებრივ რესურსებს (მიწებს, ტყეებს, სასარგებლო წიაღისეულსა და სხვ);

წესრიგში აქონდეთ საწმენდი და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც გაკეთებულ აქვთ წყლების მდგომარეობაზე, გაუჯობესონ მათი სანიტარული ტექნიკური მდგომარეობა, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას, ასევე ამ ობიექტებიდან ნავთობპროდუქტებით, ზეთებით, ხე-ტყითა და სხვადასხვა ნარჩენებით.

საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებები მოვალენი არიან არ დაუშვან წყალშემკრებთა ზედაპირის, წყალსატევების ყინულის საფარისა და მყინვარების ზედაპირის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება საშრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენებით, აგრეთვე ნავთობისა და ქიმიური პროდუქტებით, რომელთა ჩაჩეხვა გაუარესებს მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების ხარისხს. სახელმწიფო წყალსამეურნეო სისტემების სამმართველოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან აღკვეთონ წყლის გაჭუჭყიანება სასუქებითა და შხამქიმიკატებით.

იმ წყლების დაცვის მიზნით, რომლებსაც იყენებენ სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის, მოსახლეობის სამკურნალო და კულტურულ-გამჯანსაღებელი საჭიროებისათვის, იქმნება სანიტარიული დაცვის ოლქები და ზონები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყალსარგებლობის უფლება შესაბამისად წყდება იმ შემთხვევებში, თუ:

1) აღარ ჭირდებათ ან უარს იტყვიან წყალსარგებლობაზე;

2) გაგა წყლით სარგებლობის ვადა;

3) გაუქმდება საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებანი;

4) წყალსამეურნეო ნაგებობანი გადაეცემათ სხვა წყლით მოსარგებლეებს;

5) საჭირო გახდება წყლის ობიექტების ჩამორთმევა განკერძოებული სარგებლობიდან.

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყლით სარგებლობის უფლება (გარდა სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლით სარგებლობის უფლებისა) შეიძლება შეწყდეს აგრეთვე წყლით სარგებლობისა და მისი დაცვის წესების დარღვევის შემთხვევაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 17. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

წყალსარგებლობის უფლება წყდება იმ გზით, რომ:

აუქმებენ სპეციალური, აგრეთვე მეორადი წყალსარგებლობის ნებართვას;

ჩამოართმევენ განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემულ ობიექტებს.

სპეციალური წყალსარგებლობა წყდება იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც ამის ნებართვა გასცა.

მეორადი წყალსარგებლობა შეიძლება შეწყდეს პირველადი წყლით მოსარგებლის გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოსთან.

განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა ხდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებათა განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს წყლით მოსარგებლეებთან და სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან.

მუხლი 18. მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო და სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრები წყალმომარაგებისათვის, აგრეთვე სხვა საჭიროებისათვის გადაეცემათ წყლის ობიექტები, რომელთა წყლის ხარისხი შეესაბამება დადგენილ სანიტარულ მოთხოვნებს.

სასმელი ხარისხის მიწისქვეშა წყლების გამოყენება საჭიროებათათვის, რომლებიც სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას არ უკავშირდება, როგორც წესი, დაუშვებელია. რაიონებში, სადაც არ არის საჭირო ზედაპირული წყლის წყაროები და სასმელი ხარისხის მიწისქვეშა წყლების საკმარისი მარაგია, წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს მეუძლიათ დართონ ამ წყლების გამოყენების ნებართვა მიზნებისათვის, რომლებიც არ უკავშირდება სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას, ოღონდ უნდა დაიცვან ამ სანიტარულ ნორმებისა და ხე-ტყის ფუძვლების 36 მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

მუხლი 19. წყლის ობიექტების გამოყენება სამკურნალო, საკურორტო გამჯანსაღებელი მიზნებისათვის

წყლის ობიექტების გამოყენება, რომლებიც დადგენილი წესით სამკურნალო წყლების კატეგორიას მიეკუთვნება, უწინარეს ყოვლისა ხდება სამკურნალო და საკურორტო მიზნებისათვის. განსაკუთრებულ შემთხვევებში წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ დართონ სამკურნალო კატეგორიებისათვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების გამოყენების ნება სხვა მიზნებისათვის ჯანმრთელობის დაცვისა და კურორტების მართვის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით, გარდა ჩამდინარი წყლების გადასაგდებად გამოყენებისა.

დასვენებისა და სპორტისათვის წყლების გამოყენების წესს აგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 20. წყლის ობიექტების გამოყენება სოფლის მეურნეობის საჭიროებათათვის

წყლის ობიექტების გამოყენება სოფლის მეურნეობის საჭიროებათათვის ხდება როგორც საერთო, ისე სპეციალური წყალსარგებლობის წესით.

სპეციალური წყალსარგებლობის დროს იყენებენ სარწყავ, მოსაწყლიერებელ, დასაშრობ სისტემებს, ჭაბურღილებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ეკუთვნიან სპეციალიზებულ სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა წყლით მოსარგებლეებს.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ფლობენ დიდი მნიშვნელობა აქვთ ძვირფასი ჯიშების თევზის შენარჩუნებისა და მომრავლებისათვის და წყლის რეწვის სხვა ობიექტებისათვის, წყლით მოსარგებლეთა უფლებანი შეიძლება შეიზღუდოს თევზის მეურნეობის ინტერესებისათვის. ასეთი წყალსატევების ნუსხას ან მათი უნვნების ნუსხას და წყალსარგებლობის სხვადასხვა შეზღუდვას განსაზღვრავენ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები თევზის მარაგის დაცვის ორგანოების წარდგინებით.

ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა ექსპლოატაციის დროს თევზის მეურნეობის წყალსატევებში დროულად უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის მარაგის დაცვასა და თევზის მომრავლების პირობებს.

თევზის მეურნეობის საჭიროებათათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა ეძლევა მხოლოდ ამ მიზნებით მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალულია, ან ისინი მიეცემულია განკერძოებული სარგებლობისათვის.

სანაოსნო და ხე-ტყის დასაცურებელი კატეგორიებისათვის წყალსავალი გზების მიკუთვნების წესს, აგრეთვე წყალსავალი გზების ექსპლოატაციის წესების დადგენას განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ხე-ტყის დაშლილად დაცურება აკრძალულია:

1) სანაოსნო გზებზე;

2) წყლის ობიექტებზე, რომელთა ნუსხას ამტკიცებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ამასთან უნდა გაითვალისწინონ ამ ობიექტების განსაკუთრებული მნიშვნელობა თევზის მეურნეობისათვის, წყალმომარაგებისა თუ სხვა სახალხო-სამეურნეო მიზნებისათვის;

3) სხვა წყლის ობიექტებზე, თუ არ არის წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოების ნებართვა, რომელიც შეთანხმებულია თევზის მარაგის დაცვის ორგანოებთან.

მუხლი 21. წყლის ობიექტებით სარგებლობა სამრეწველო მიზნებისათვის

წყლით მოსარგებლეები, რომლებიც სარგებლობენ წყლის ობიექტებით სამრეწველო მიზნებისათვის, მოვალენი არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი გეგმები, ტექნოლოგიური ნორმები და წესები, აგრეთვე განსორციელონ წყლის ხარჯვის შემცირებისა და ჩამდინარი წყლების გადაგდების შემოწმებისა ღონისძიებანი იმ ზომით, რომ გაუჯობესონ წარმოების ტექნოლოგია და წყალმომარაგების სქემები (გამოიყენონ უწყლო ტექნოლოგიური პროცესები, ჰაერით გაცივება, საბრუნავი წყალმომარაგება და სხვა ტექნიკური ხერხები).

მწრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ აკრძალონ ან შეზღუდონ სამრეწველო მიზნებისათვის კომუნალური წყალსადენებიდან სასმელი წყლის მოხმარება.

მიწისქვეშა წყლები (მტკნარი, მინერალური, თერმული), რომლებიც არ ეკუთვნიან სასმელი ან სამკურნალო წყლების კატეგორიას, შეიძლება დადგენილი წესით გამოიყენონ ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, ამ წყლებში შემავალი ქიმიური ელემენტების ამოღებისათვის, თბოენერგიის მიღებისა და სხვა საწარმოო საჭიროებებისათვის, ამასთან დაიცვან წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნები.

მუხლი 22. წყლის ობიექტებით სარგებლობა ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებისათვის

წყლის ობიექტებით სარგებლობა ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებისათვის ხორციელდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ინტერესების გათვალისწინებით, აგრეთვე წყლების კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა დაცვით, თუ სხვა რამ გათვალისწინებული არ არის წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოს გადაწყვეტილებით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით.

მუხლი 23. წყლის ობიექტებით სარგებლობა წყლის ტრანსპორტისა და ხე-ტყის დაცურების საჭიროებათათვის

სსრ კავშირის მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, შინაგანი ზღვები, აგრეთვე ტერიტორიული ზღვა. წარმოადგენენ საერთო სარგებლობის წყლით სავალ გზებს, იმ შემთხვევების გარდა, როცა მათი გამოყენება ამ მიზნებით მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალულია, ან ისინი მიეცემულია განკერძოებული სარგებლობისათვის.

სანაოსნო ხე-ტყის დასაცურებელი კატეგორიებისათვის წყალსავალი გზების ექსპლოატაციის დროებისათვის წყლის ობიექტებზე ნებადართული ნებისმიერი ნაგებობა, ტბორი, ხიმინჯიანი და სხვა ნაგებობების მფლობელები წყლის ობიექტებზე, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც ხე-ტყის აცურებენ, მოვალენი არიან არ დაუშვან წყლების გაჭუჭყიანება და დანაგვიანება ნავთობპროდუქტებით, ზეთებით, ხე-ტყითა და სხვადასხვა ნარჩენებით.

საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებები მოვალენი არიან არ დაუშვან წყალშემკრებთა ზედაპირის, წყალსატევების ყინულის საფარისა და მყინვარების ზედაპირის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება საშრეწველო, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენებით, აგრეთვე ნავთობისა და ქიმიური პროდუქტებით, რომელთა ჩაჩეხვა გაუარესებს მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების ხარისხს. სახელმწიფო წყალსამეურნეო სისტემების სამმართველოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან აღკვეთონ წყლის გაჭუჭ

პროექტი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მეურნეობისა და დაცვის ორგანოებს და განსახორციელონ ღონისძიებანი მიწისქვეშა წყლების დასაცავად დადგენილი წესით.

სასმელი ხარისხის მიწისქვეშა წყლების გამოყენების ნებართვას ისეთი საჭიროებებისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის მოსახლეობის სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებასთან, წყლით სარგებლობის რეგულირების და დაცვის ორგანოები იძლევიან საგანგებოდ დასაუთებულ შემთხვევებში.

ის ჭაბურღილები, რომლებიდანაც თავისთავად ამოდის წყალი, უნდა აღიჭურვოს მარეგულირებელი მოწყობილობით, დაკონსერვდეს ან მოხდეს ლიკვიდაცია წესით, რომელსაც მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა ადგენს.

მუხლი 37. წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი მოვალენი არიან წყლით სარგებლობის რეჟიმირებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ან მათი მითითებით განახორციელონ ღონისძიებები, რათა თავიდან აიცილონ და მოსპონ წყლის მავნე ზემოქმედებანი, როგორიც არის:

წყალდიდობა, დატბორვა და წყლის შედგომა;

ნაპირების რღვევა, დამცავი ჯებირებისა და სხვა ნაგებობების ნგრევა;

მიწების დაჭაობება და დამლაშება;

ნიადაგების ეროზია, ხრამების, მეწყერების, ღვარცოფებისა და სხვა მავნე მოვლენების წარმოქმნა.

წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას არეგულირებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს, რომლებსაც საერთო-საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვთ, ითვალისწინებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასახლო მეურნეობის განვითარების სასელმწიფო გეგმები.

კარი IV. წყლების გამოყენების აღრიცხვა, კონტროლი და დაგეგმვა

მუხლი 38. წყლების აღრიცხვის ორგანიზაცია და მათი გამოყენებისადმი კონტროლი

წყლების რაციონალური და გეგმიანი გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფის, მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით აწარმოებენ სახელმწიფო წყლის კადასტრს, ადგენენ მიმდინარე და პერსპექტიულ სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსებს და ამუშავებენ წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებს, აგრეთვე ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს.

წყლების გამოყენებისადმი სახელმწიფო კონტროლი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ სამინისტროები, უწყებები, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, აგრეთვე მოქალაქენი იცავდნენ წყლის კანონმდებლობას, წყლების გამოყენების, დაცვისა და მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების წესს.

სახელმწიფო კონტროლს წყლების გამოყენებისადმი ახორციელებენ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 39. სახელმწიფო წყლის კადასტრი

სახელმწიფო წყლის კადასტრი შეიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წყლის აღრიცხვის, წყალსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, აგრეთვე წყლის გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს.

მუხლი 40. სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსები

სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსები, რომლებშიც შეფასებულია წყლის არსებობა და გამოყენების ხარისხი, დგება აუზებს, ეკონომიური რაიონების, მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით და მათ ითვალისწინებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის დროს.

მუხლი 41. წყლის კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები

წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის ტერიტორიული სქემები განსაზღვრავენ ძირითად წყალსამეურნეო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს წყალზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე წყლების დაცვისა და მათი მავნე ზემოგავლენის თავიდან აცილებისათვის.

მუხლი 42. სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსების შედგენისა და წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების წესი

სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოება, სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსების შედგენა, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავება ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე და სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემით.

სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, სახელმწიფო წყალსამეურნეო ბალანსების შედგენის, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებენ.

კარი V. პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 43. პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

წყლების თვითნებური განკარგვა, წყალსარგებლობის უფლების დათმობა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევენ წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

იმ პირთა, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ასეთი გარიგებებში, აგრეთვე იმაში, რომ:

თვითნებურად იკავებენ წყლის ობიექტებს ან თვითნებურად სარგებლობენ წყლით;

აბინძურებენ წყლებს;

საექსპლოატაციოდ გადასცემენ საწარმოებს, კომუნალურ და სხვა ობიექტებს ისეთ ნაგებობათა და მოწყობილობათა გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას;

უყაირათოდ იყენებენ წყალს (წყლის ობიექტებიდან ამოღებულსა თუ გაყვანილს);

წყალშემკრებებში არღვევენ წყლის დაცვის რეჟიმს, რაც იწვევს წყლების გაჭუჭყიანებას, ნიადაგების წყლისმიერ ეროზიასა და სხვა მავნე მოვლენებს;

თვითნებურად აწარმოებენ ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს;

აზიანებენ წყალსამეურნეო ნაგებობებსა და მოწყობილობებს;

არღვევენ წყალსამეურნეო ნაგებობათა და მოწყობილობათა ექსპლოატაციის წესებს;

ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამ შეიძლება დააწესოს პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის სხვა სახეობათა დარღვევებისთვისაც.

თვითნებურად დაკავებული წყლის ობიექტები დაბრუნებულ უნდა იქნას კუთვნილებისამებრ იმ ხარჯების აუნაზღაურებლად, რომლებიც უკანონო სარგებლობის დროს იყო გაწეული.

მუხლი 44. წყლის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და მოქალაქენი ვალდებულნი არიან ანაზღაურონ წყლის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი იმ ოდენობითა და წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

დამნაშავეობა და ძიება

სსდომის დღის წესრიგზეა პროკურატურის საქმიანობა

◆

თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორები. სხდომამ განიხილა პროკურატურის საქმიანობის გასული წლის და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები და მისი ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა მიხედვით.

მოხსენება ამ საკითხებზე გააკეთა რესპუბლიკის პროკურორმა ა. ტაკიძემ. თანამოხსენებანი წაიკითხეს აფხაზეთის სსრ პროკურორმა ბ. არგუნმა, აჭარის სსრ პროკურორმა დ. ბაჯელიძემ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა ხ. გაგლოევმა.

კამათში გამოვიდნენ ქალაქ თბილისის პროკურორის მოადგილე ს. ნანიტაშვილი, ქალაქ ქუთაისის პროკურორი ა. ქოქენტი, რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების უფროსი მ. ქურდაძე, ქალაქ რუსთავის პროკურორი ხ. იმედაშვილი, საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანების საქმეთა განყოფილების უფროსი თ. ფოცხვერია, ქალაქ ტყიბულის პროკურორი გ. ამდუშელიშვილი, წალენჯიხის რაიონის პროკურორი რ. ფირცხალავა.

ორგანიზაციებიდან ხაზგასმით აღინიშნა, რომ განვლილ პერიოდში რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად. მაგრამ ეს მუშაობა სათანადოდ ეფექტური არ იყო. როგორც გვიჩვენა სსრ კავშირის პროკურატურის მუშაობამ, რესპუბლიკის პროკურატურის საქმიანობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე შემცირდა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა რიცხვი, შარშან და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში იგრძნობოდა დამნაშავეობის ზრდის ტენდენცია რესპუბლიკაში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია დმანისის, სამტრედიის, ფოთელწყაროსა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი მოქმედების გახშირებული შემთხვევები. 1969 წელს, წინა წელთან შედარებით, ერთიორად და მეტად გაიზარდა მოზარდთა რიცხვი, რომლებიც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში არიან მიეცემული წვრილმანი ხულიგნობისათვის, გაცილებით მეტი ბავშვია მიყვანილი სპეციალურ ოთახებში.

ასეთი მდგომარეობა მოითხოვდა პროკურატურის ორგანოების უფრო მაღალ ოპერატიულობას და შეტანილი ხასიათის მოქმედებას სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ზოგიერთი საქმის დანაშაული ჯერ ისევ მიუკვლეველია, დამნაშავენი კი დაუსჯელი არიან. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ხშირად მიუკვლეველი რჩება ისეთი საქმეები დანაშაულებრივ, როგორიცაა მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა ასაფეთქებელ ნივთიერებათა გამოყენებით, დიდი ფულადი თანხის მოპარვა საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპუბლიკაში ჯერ არ არის შექმნილი ყოველი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის აუცდენლობის ვითარება.

როგორც კოლეგიის მონაწილეებმა აღნიშნეს, ამის მიზეზი ის არის, რომ დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული და უხარისხოა თავდაპირველი საგამომძიებო მოქმედება, სუსტად იყენებენ კრიმინალისტიკურ ტექნიკასა და მეცნიერულ რეკომენდაციებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ოპერატიულ შესაძლებლობებს, არ არის ჯეროვანი საპროკურორო ზედამზედველობა. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გამომძიებელთა და ზედამხედველ პროკურორთა უმოქმედობის ფაქტები და მათი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი.

ბევრ განცხადებასა და ცნობას დანაშაულის ჩადენის თაობაზე ვადების დარღვევით იხილავენ. არის მაგალითები, როცა დაუსაბუთებლად უარს ამბობენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, აგრეთვე ფარავენ დანაშაულს. ეს იმის შედეგია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში სუსტია პროკურორის ზედამხედველობა.

წინასწარი გამოძიების დაბალი ხარისხის გამო ბევრ საქმეს სასამართლოები აბრუნებენ დამატებითი გამოძიებისათვის, ბევრი ასეთი მაგალითია ქალაქ ტყიბულის, წალენჯიხის, ხობისა და სხვა რაიონების პროკურატურის პრაქტიკაში. მარტო პირველ კვარტალში დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებულია 26 საქმე.

საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებო აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნაკლია, ხაზგასმით აღნიშნეს კოლეგიის მონაწილეებმა, სისხლის სამართლის საქმეთა ხანგრძლივი ძიება. განსაკუთრებით სცოდავენ ამ მხრივ გორის, ბოლნისის, ჩოხატაურის რაიონების, ქუთაისის პროკურატურის მუშაკები, შინაგან საქმეთა სამინისტროს დმანისის, ადიგენის, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის, ქარელისა და სხვა რაიონების და ისევ ქუთაისის საგამომძიებო ქვეგანყოფები.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მოქალაქეთა უკანონოდ დაკავების, დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები და პირიქით: არის მაგალითები, როცა დაუსაბუთებლად წყვეტენ სისხლის სამართლის საქმეს, არ აპატიმრებენ პირებს, რომლებმაც საშიში დანაშაული ჩადინეს.

კოლეგიის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ბრძოლას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ. მათ აღნიშნეს, რომ გაუარესდა ამ კატეგორიის საქმეთა გახსნა და სარისხი. მრავალი წლის მანძილზე გრძელდება განსაკუთრებით დიდი დატაცებანი და ლრმზე არ აღიკვეთება. ამ სახეობის დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების ღონისძიებანი ყოველთვის როდი ექვემდებარება მთავარ ამოცანას — გაფლანგვათა და დატაცებათა თავიდან აცილებას. ამ კატეგორიის საქმეთა გამო განაჩენების გამოტანისას სასამართლოებმა პრაქტიკულად უარი თქვეს ისჯოს ისეთი დამატებითი ღონისძიებების გამოყენებაზე, როგორიცაა მატერიალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ თანამდებობათა დაკავების, ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა.

კოლეგიის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დამნაშავეთა წარმატებით მხილების ერთ-ერთი პირობაა საქმის სწრაფად გამოძიება, მაგრამ პროკურატურის ორგანოები ზოგჯერ აჭიანურებენ ამას. ქრთამის საქმეთა გამოძიება ხშირად დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს, ცალკეულ შემთხვევებში კი ეფალება მუშაკებს, რომლებსაც არა აქვთ საკმაო მომზადება, ცუდად იციან ასეთ საქმეთა გამოძიების მეთოდიკა და ტაქტიკა. სწორად ვერ მივიჩნევთ, რომ შარშან პროკურატურას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლოსთან ერთად არ დაუგეგმავს ღონისძიებანი ასეთი მძიმე ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად, თუმცა ეს განსაკუთრებით საჭირო იყო.

ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოებს გამოაქვთ დაუსაბუთებლად ლიბერალური განაჩენი მექრთამეობის საქმეთა გამო, კერძოდ, ეს ეხებათ ქ. თბილისის კიროვისა და ლენინის რაიონების, გუდაუთისა და ცხინვალის რაიონების სახალხო სასამართლოებს, პროკურორებს კი არ შეაქვთ პროტესტები ამ გადაწყვეტილებათა გასაუქმებლად.

ვერ ავუვლით გვერდს ვერც იმას, რომ პროკურორთა და გამომძიებელთა კადრების შერჩევასა და აღზრდაში დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გადიდებას. და თითქოს ამის შედეგია უდისციპლინობის, უფიქრისა საქციელის, ცალკეულ შემთხვევებში კი დანაშაულის ფაქტებიც.

განხილულ საკითხებზე კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილებანი.

კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ა. კარანაძე, რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. შადური. (საქდესი).

ᲙᲝᲢᲔ ᲑᲐᲩᲠᲐᲫᲔ

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა ფილოსოფოსი აკადემიკოსი კოტე (კონსტანტინე) სპირიდონის-ძე ბაქრაძე.

კოტე ბაქრაძის სახით ქართველმა ხალხმა დაკარგა ერთი საუკეთესო შვილი, საბჭოთა მეცნიერებამ — საყოველთაოდ აღიარებული შემოქმედი მკვლევარი, ქართულმა ფილოსოფიურმა სკოლამ — ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი და მეთაური დაკარგა.

კ. ბაქრაძე ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელმაც პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება თბილისის უნივერსიტეტში, თაობას, რომელიც პირველი ამოუდგა მხარში მის დამაარსებლებს, განამტკიცა და გაამდიდრა მათ მიერ დანერგილი ტრადიციები და შექმნა ქართული საბჭოთა მეცნიერული სკოლები.

კოტე ბაქრაძე დაიბადა 1898 წლის 24 ნოემბერს. 1918 წელს თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც იგი გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა. იგი ერთდროულად სწავლობდა სიბრძნისმეტყველებასა და მათემატიკას, ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძის, ანდრია რაზმაძის, გრიგოლ ფირცხალის, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ლექციებს. კ. ბაქრაძემ იმთავითვე მიიპყრო მასწავლებელთა ყურადღება თავისი ბრწყინვალე ნიჭით, ფართო ერუდიციით, ნათელი გონებით. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 1922 წელს სამეცნიერო საბჭომ კ. ბაქრაძე დატოვა საპროფესოროდ მოსამზადებლად და იმავე წელს მიავლინა გერმანიაში, იქ იგი მუშაობდა XX საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსებთან ჰუსერლთან, რიკერტთან და ჰაიდეგერთან. 1925 წელს კ. ბაქრაძე დაბრუნდა სამშობლოში და სიცოცხლის უანასკნელ წუთამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მრავალი წლის მანძილზე იგი იყო მისივე თაოსნობით გახსნილი ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, ფილოსოფიის ისტორიის და ლოგიკის კათედრების გამგე, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. პარალელურად მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში (ქუთაისში, ბათუმში, ხოსუმში). როგორც საბჭოთა კავშირში აღიარებული სპეციალისტი ფილოსოფიის ისტორიის, თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკისა და ლოგიკის დარგში, იგი არაერთხელ ყოფილა მიწვეული მოსკოვის უნივერსიტეტსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში ასპირანტურისა და ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებისათვის საეკლესიოს წასაკითხად, მათთვის მეცნიერული ხელმძღვანელობის გასაწევად.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო აკადემიკოს კოტე ბაქრაძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

1929 წელს კოტე ბაქრაძემ გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „დიალექტიკის პრობლემა ჯერმანულ იდეალიზმში“, აქ გამოთქმულმა იდეებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა 1936 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ (რუსულად გამოვიდა 1958 წ. პოლონურად — 1960 წ.). ამ შრომებში მან ჩამოაყალიბა კლასიკური გერმანული იდეალიზმის ისტორიისა და მარქსიზმთან მისი მიმართების ორიგინალური და ღრმად გაანალიზებული კონცეფცია.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის შესწავლა შემთხვევით არ შემოსულა პროფესორ კ. ბაქრაძის მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში. მას აინტერესებს გვიჩვენოს, თუ რა არის „ცოცხალი და მკვდარი“ ჰეგელის ფილოსოფიაში, ამ გზით დადგინოს იმ გაკვლენის ხასიათი და მნიშვნელობა, რომელიც საერთოდ გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა და კერძოდ ჰეგელის ფილოსოფიამ იქონია მარქსის და ენგელსის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

კ. ბაქრაძის ამ ნაშრომებს ჰქონდა არა მარტო ისტორიულ-კრიტიკული მნიშვნელობა: მათში მოცემულია მარქსისტული ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების გადაჭრის უაღრესად სერიოზული ცდა. ამ მიმართულებით კვლევა-ძიება კ. ბაქრაძეს გარდაცვალებამდე არ შეწყვეტია. არსებითად ამ საკმეს ემსახურება მისი გამოკვლევები დიალექტიკისა და ლოგიკის ურთიერთობის საკითხებზე.

1946-1951 წლებში კ. ბაქრაძემ ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირში პირველი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები ლოგიკაში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ მისი წერილით გაიხსნა საკავშირო დისკუსია ფორმალური ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთობის საკითხებზე (ჟურნალი „ვოპროსი ფილოსოფიი“, № 2, 1950 წ.), დისკუსიამ გამოაკვეთნა ორი ძირითადი თვალსაზრისი. ერთი მათგანის მომხრეთა აღიარებული მეთაური იყო კ. ბაქრაძე. ჩვენს ქვეყანაში ლოგიკის სწავლებას, მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადების და მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარების საქმეში კოტე ბაქრაძის მოღვაწეობამ მთელი ეტაპი შეადგინა.

უაღლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკა კ. ბაქრაძის მეცნიერული კვლევის პრობლემატიკიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ამ დარგში მის მიერ ქართულ, რუსულ და უკბოურ ენებზე გამოქვეყნებული შრომებიდან დიდ ყურადღებას იპყრობს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „ნარკვევები უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიიდან“ (1960), „ეგზისტენციალიზმი“ (1962), „პრაგმატიზმი“ (1965) და სხვ. კ. ბაქრაძის ფუნდამენტური ნაშრომები ფილოსოფიის ისტორიასა და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის დარგში სკეპტიკური ფილოსოფიური მიმკვიდრეობის მარქსისტულ ნიადაგზე კრიტიკული ათვისების საუკეთესო ნიმუშებია. განუზომელია ამ შრომათა მნიშვნელობა ჩვენში ფილოსოფიური კულტურის ამაღლების საქმეში.

დიდია კ. ბაქრაძის დამსახურება დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრობლემების დამუშავებაში. მისმა ლექციებმა, ცალკეულმა გამოკვლევებმა და მისი მონაწილეობით შექმნილმა სახელმძღვანელოებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენში ამ პრობლემათა მეცნიერული კვლევისა და სწავლების მაღალი დონე.

კ. ბაქრაძის კვლევა-ძიების ცენტრში ყოველთვის იდგა ფილოსოფიის ყველაზე აქტუალური პრობლემები, თავისი დიდი ნიჭისა და ფართო ერუდიციის წყალობით მას დიდი წვლილი შეაქონდა ამ პრობლემათა გადაწყვეტაში. კ. ბაქრაძის შრომები გამოირჩევა სიღრმით, ნატიფი ანალიზით, ნათელი და მკაცრი არგუმენტაციით. ყოველივე ამან მას დამსახურებულად მოუმოვა საერთაშორისო აღიარება. იგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და მკვლევარი, არამედ ბრწყინვალე პედაგოგიც. მას შეეძლო ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების მარტივად და ყველასათვის გასაგებად გადმოცემა. იგი მრავალი სახელმძღვანელო წიგნის ავტორი ან თანაავტორია. სულ ახლახან გამოიცა მისი „ახალი ფილოსოფიის ისტორიის“ პირველი ნაწილი, რომელშიც კიდევ ერთხელ გამოვლინდა კ. ბაქრაძის მეცნიერული და პედაგოგიური ღირსებანი.

განუსაზღვრელად დიდია კ. ბაქრაძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგი. ყველგან შეხვდებით მის მოწაფეებს — სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, არა მარტო საქართველოში, არამედ აგრეთვე რუსეთში, უკრაინაში და სხვა მომიე რესპუბლიკებში. ყოველი მათგანი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იგონებს დიდ მეცნიერსა და პედაგოგს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესორ კ. ბაქრაძის დამსახურება ახალგაზრდა მეცნიერული კადრების აღზრდის საქმეში. ფილოსოფიაში მოუშავავ ახალი თაობის უმრავლესობა კ. ბაქრაძის უშუალო მოწაფეები არიან, რომელთაც იგი არა მარტო ფილოსოფიის პრობლემებს ასწავლიდა, არამედ უნერგავდა დამოუკიდებელი კვლევის ჩვევებს, მეცნიერულ პრინციპულობას, უვითარებდა პასუხისმგებლობის გრძნობას როგორც თავისი შრომებით, ისე პირადი ცხოვრების მაგალითითაც. ცხოვრების მანძილზე კ. ბაქრაძეს მოუსდა არაერთი სიძნელის გადალახვა. ამ სიძნელეებს ის ყოველთვის რაინდულად ხვდებოდა, არასდროს არ წასულა კომპრომისზე საკუთარ მეცნიერულ სინდისთან. ამითაც ქმნიდა იგი თავის გარშემო მაღალპრინციპულ მეცნიერულ ატმოსფეროს. კ. ბაქრაძე იღვწოდა მებრძოლ მეცნიერთა რიგს განეკუთვნებოდა. და ბრწყინვალე პოლემისტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. მას უყვარდა კიდევაც პოლემიკა და, რა თქმა უნდა, გამარჯვებაც, მაგრამ გამარჯვება მისთვის მიუღებელ თვალსაზრისზე და არა მის მატარებელ პიროვნებაზე.

კ. ბაქრაძის მეცნიერულმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. ავტორიტეტი, რომლითაც დღეს ქართული ფილოსოფიური სკოლა სარგებლობს, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია კ. ბაქრაძის სახელთან.

საბჭოთა ხელისუფლებამ კ. ბაქრაძის ღვაწლი ღირსეულად დააფასა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, იყო საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

აკადემიკოს კ. ბაქრაძის სახით ქართველმა საზოგადოებრიობამ დაკარგა არა მარტო დიდი მეცნიერი და პედაგოგი, არამედ შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება. კ. ბაქრაძე ფაქიზი შინაგანი კულტურის ნამდვილი ინტელიგენტი იყო. მისი მარად ახლის მაძიებელი, მოუსვენარი, ხალისიანი და უშუალო ხასიათი არაჩვეულებრივად მიმზიდველი იყო ყველასათვის, ვინც მას იცნობდა. საოცრად უბრალო იყო იგი ადამიანებთან ურთიერთობაში და ადვილად პოულობდა საერთო ენას დიდთანაც და პატარასთანაც. მას არ უყვარად პატივისცემის გამოხატვის გარეგნული ფორმები სწორედ იმიტომ, რომ კარგად იცოდა ადამიანის ღირსების ნამდვილი ფასი. აკადემიკოს კ. ბაქრაძის ღვაწლი დაუვიწყარი იქნება ქართველი ხალხის ხსოვნაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყებიან, რომ ამა წლის 28 აპრილს 71 წლის ასაკში მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის კათედრის გამგე

კონსტანტინე სპირიდონის-ძე ბაქრაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დამკრძალავი კომისიისაგან

აკადემიკოს კ. ბაქრაძის პანაშვიდი გაიმართება განსვენებულის ბინაზე — პეკინის ქ. № 2, 30 აპრილს, 1 და 2 მაისს, საღამოს 8 საათზე.

გამოსვენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს პირველი კორპუსიდან 3 მაისს 3 საათზე.

დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲙᲘᲢᲘ

სროლა დედაქალაქში

ნიუ-იორკი, 29 აპრილი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო იუწყება, პაიტის დედაქალაქ პორტო-პრენსში სროლაა. ძველისძველ ფორტში, სადაც ტირანი ფრანსუა დიუვალიე აწამებს და სიკვდილით სჯის თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, დანგრიტეს 9 კაცი. ეს პირველი ჯგუფი იმ ასობით ადამიანთაგან, რომლებიც დაპატიმრეს, რადგან ეშვი მიიტანეს, რომ მონწილეობდნენ პაიტის სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ სახელდო მეზღვაურთა აჯანყებაში.

მას შემდეგ, რაც ფლოტში ჩაიშალა აჯანყება, დიუვალიემ მიმართა მკაცრ რეპრესიებს მდელ პაიტში. მისი საიდუმლო პოლიციის აგენტები ტონტონ-მაკუტები იჭრებიან სახლებში, ჩხრეკენ და აპატიმრებენ ხალხს ოღნავი ეჭვიც თუ მიიტანეს, რომ მტრულად ეკიდებიან არსებულ რეჟიმს.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამას წინათ სანაპ

საქართველოს ამბავი — ბაკურიანი

შეხვედრა რუსთავში

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც მეგობრულად დაუკავშირდნენ ერთმანეთს რუსთავისა და იყალთოს შ. რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტები. ამის წინათ რუსთაველები იყალთოელებს ეწვევნენ და გაეცნენ მასპინძლებს, მათს გამოცდილებას, სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის მეთოდებს.

ამჯერად კი მასპინძლები რუსთავის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენლები იყვნენ. პირველი შეხვედრა ვ. ი. ლენინის ძეგლთან მოხდა. აქ, გარდა ამ ორი უნივერსიტეტის მსმენელებისა და მასწავლებლებისა, მოვიდნენ სახელმოხვეჭილი მეტალურგები, კოლმეურნეები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შემდეგ ისინი მარტენის საამქროსაკენ გაემგზავრნენ, სადაც ნახეს ქართული ფოლადის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნაღნობის გამოშვება.

სტუმრებმა და მასპინძლებმა დაათვალიერეს მეტალურგიული ქარხნის სხვა საამქროები, არეშის ციხის ნანგრევები, ქალაქის მუზეუმი და საღამოს გვიან შეიკრიბნენ ქალაქის საბჭოს აღმასკომის სხდომათა დარბაზში.

ოფიციალური შეხვედრა გახსნა რუსთაველის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, მწერალმა კ. მუშლაძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მეტალურგიული ტექნიკუმის II კურსის სტუდენტი ნ. კოტლავაშვილი, 98 წლის იყალთოელი კოლმეურნე ნ. პაპალაშვილი, იყალთოს უნივერსიტეტის რექტორი გ. შათირიშვილი, მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე მ. ასანიშვილი და სხვები.

საკუთარი ლექსები წაიკითხეს ს. ახვლედიანმა, მ. აბრამიშვილმა, ვ. სულთანიშვილმა, დ. შიშმანაშვილმა, ი. ჯინჭარაძემ და სხვებმა.

მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. საყვარელიძემ სტუმრებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

დასასრულ ორივე უნივერსიტეტის მსმენელთა მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

ბაკურიანი

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

28 აპრილს გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

სკა (კიევი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 4:1, „ალგირისი“ (ვილნიუსი) — „აუბანი“ (კრასნოდარი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:1, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 1:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:3, სკა (ხაბაროვსკი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 2:0, „აირატი“ (ალმა-ატა) — „ალგა“ (ფრუნზე) 1:2, „შახტიორი“ (ყარაგანდა) — „პამირი“ (დუშანბე) 2:1, „დინამო“ (ლენინგრადი) — „მოლდავა“ (კიშინიოვი) 3:1, „რუბინი“ (ყაზანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „კარპ ა ტ ი“ (ლვოვი) 2:0.

ᲙᲝᲛᲝᲜᲘᲡᲢᲘ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲜᲐᲠᲘᲗ

გარდა ამ წყვილებისა, რომლებიც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში იყო დაბეჭდილი, სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხეფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ფეხბურთელთა შემდეგი კოლექტივები: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „დინამო“ (კიევი), სკა (დონის როსტოვი) — „ავანგარდი“ (ტერნოპოლი), „დინამო“ (მოსკოვი) — „ავტომობილისტი“ (ციტომირი).

მეთექვსმეტედ და მერვედფინალურ მატჩებში მეტოქეები ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს (საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედნებზე). ეს შეხვედრები გაიმართება 9 და 13 მაისს. გამონაკლისს მხოლოდ რამდენიმე თამაში შეადგენს, მოსკოვის „ტორპედოსა“ და ხარკოვის „შეტალისტის“ მატჩი მოსკოვში 12 მაისს გაიმართება, 10 მაისს დედაქალაქის დინამოელები საკუთარ მოედანზე მიიღებენ ციტომირის „ავტომობილისტს“. ხოლო ვორონეჟის „ტრუდი“ — დედაქალაქის „სპარტაკს“ შეხვდება. ამ გუნდების მეორე შეხვედრები 14 მაისს შედგება.

თუ ორი შეხვედრის შემდეგ მეტოქეებს აღმოაჩნდათ თანაბარი მაჩვენებლები, არბიტრი იქვე ნიშნავს დამატებით დროს — 30 წუთს. თუ აქაც მატჩის ბედი გაურკვეველი აღმოჩნდა, მაშინ მიმართავენ წილისყრას. დამატებითი დროის დაუნიშნავად უპირატესობა ეძლევათ იმ გუნდებს, რომლებსაც სსრ კავშირის ნაკრებში მეტი ფეხბურთელი ეყოლება.

ასეთივე ფორმულით მოიწყობა მერვედფინალური შეხვედრები, რომლებიც დანიშნულია 28 მაისისა და 1 ივნისისათვის.

ᲒᲔᲜᲢ ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘ — ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢᲘ

გამოჩენილი დანიელი გროსმაისტერი ბ. ლარსენი რ. ფიშერთან ერთად საბჭოთა მოჭადრაკეების ფრიად სახიფათო მეტოქედ ითვლება. დღეს გთავაზობთ ნაწყვეტებს მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან.

როდის დაიწყეთ ჭადრაკის თამაში?

7 წლისა ვიყავი, როდესაც ამხანაგებმა თამაში მასწავლეს. 12 წლისა ერთ-ერთი საჭადრაკო კლუბის წევრი გავხდი. 19 წლის ასაკში დანიის ჩემპიონის წოდება მოვიპოვე, ხოლო 1956 წელს მოსკოვში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიადაზე — გროსმაისტერის წოდება. მაშინ 21 წლისა ვიყავი.

**თქვენ მსოფლიო ჩემპიონობის ერთერთი უახლოესი პრეტენდენტი ხართ. რობერ აუას